ПРОЛЕТАРИЯНЕБИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 130 (18672) | სამშაბათი, 7 ივნისი, 1983 წელი | ფასი 3 კაპ.

ზაფხულის არდადეგები

ბავშვობა ადამიანის ცხოვრებაში ერთადერთი პერიოდია, როცა ადამიანი ბედნიერია, ოჯახი, ოჯახური ურთიერთობა, ოჯახური ბედნიერება ბავშვობის ერთ-ერთ ძირითადი ელემენტია. ბავშვობა ადამიანის ცხოვრებაში ერთადერთ ეტაპია, ეტაპი, ოჯახური ბედნიერებისა, ეტაპი, ოჯახური ბედნიერებისა, ეტაპი, ოჯახური ბედნიერებისა

სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები მომსახურების სფეროს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის სრულყოფის, როგორც დისციპლინის განმტკიცებისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორის, საქმეში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დეპუტატ ნ. ა. ჭითანავას მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის განხორციელებაში დიდი როლი ეკუთვნის მომსახურების სფეროს საწარმოებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ზრუნვა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. მომსახურების სფეროს მუშაობა სწორედ ამ ამოცანის შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

ამ ბოლო წლებში მომსახურების სფეროს განვითარება საგრძნობლად დაჩქარდა. განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა საქონელბრუნვა, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სატრანსპორტო და სხვა მომსახურების მოცულობა.

მატერიალური წარმოების სფეროში დიდი შრომის ნაყოფიერების უზრუნველყოფა შეუძლებელია სახალხო მეურნეობის არასაწარმოო სფეროს — მომსახურების სფეროს დაჩქარებული განვითარების გარეშე. ეს კანონზომიერება გამოიხატა საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა განაწილებით. ახლა მომსახურების სფეროში ჩაბმულია სახალხო მეურნეობაში მომუშავეთა საერთო რიცხვის დაახლოებით 30 პროცენტი. 1970 წელთან შედარებით შეიმჩნევა ზრდის მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო დიდ როლს ასრულებს შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებაში.

ეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია თანამედროვე ეტაპზე, როცა ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბი უაღრესად დიდია, ხოლო არსებული მუშახელის რესურსები — შეზღუდული. განგარიშებული მონაცემებით, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში დასაქმებული ერთი მუშაკი საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულ 3-4 კაცს.

პარტიისა და მთავრობის ყურადღება საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებისადმი რეალურ გამოხატულებას პოულობს მოსახლეობის მომსახურების ყველა დარგის განვითარებით. მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე საცალო საქონელბრუნვის მოცულობა საქართველოში უკანასკნელი 12 წლის მანძილზე 72 პროცენტით გაიზარდა და შეადგინა 923 მანეთი.

საქართველოში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აშენდა თვითმომსახურების უნივერმაღაღები, უნივერსალური მაღაზიები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ინერგება ვაჭრობის პროგრესული ფორმები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ქალის საოჯახო შრომის შესამსუბუქებლად, საოჯახო მეურნეობის გასაძღოლად საჭირო დროის დანახარჯების შესამცირებლად. ეს ხდება საზოგადოებრივი კვების განვითარების, ნახევარფაბრიკატების, დიეტური და სამკურნალო კვების პროდუქტების წარმოებისა და მოსახლეობისათვის მიყიდვის გადადების გზით.

გარკვეული დადებითი შედეგებია მიღწეული წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა საზოგადოებრივი კვების ქსელის გაფართოებაში.

ფართოვდება სამშენებლო მოედნებზე მშრომელთა კვების პრაქტიკა. თერმოკონტეინერებით კომპლექსური სადილებით იკვებებიან მშენებლები თბილისში, ქუთაისში, სოხუმში და რუსთავში.

ასევე ტრადიციული გახდა საგაზაფხულო-საზაფხულო სამუშაოების პერიოდში სოფლის მშრომელთა ცხელი კერძებით უზრუნველყოფა. განსაკუთრებით კარგად არის ორგანიზებული მუშა-მოსამსახურეთა მინდორ რიგ კვება აფხაზოკოპაკავშირის, აჭარა-კოოპკავშირის, ზუგდიდის, მახარაძის, ცხაკაიას, გურჯაანის კოოპორგანიზაციათა სისტემებში.

მაგრამ მთელ რიგ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და მეურნეობებთან არსებული მუშათა სასადილოების მატერიალ ურ-ტექნიკური ბაზა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს, რაც უარყოფითად მოქმედებს კვების ორგანიზაციაზე. ვიწრო, შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანების, ბამბის ფაბრიკისა და სხვა საწარმოების მუშათა სასადილოები. მოუგვარებელია სავაჭრო-ტექნოლოგიური დანადგარებით სასადილოების აღჭურვა თბილისის №1 ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, თელავის სამკერვალო ფაბრიკაში, გორის საკონსერვო ქარხანასა და სხვა წარმოებებში.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ადგილობრივ საბჭოებს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ისინი ხელმძღვანელობენ მთა ტერიტორიაზე განლაგებული ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობას.

საჭიროა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა, მათმა ხელმძღვანელებმა გააქტიურონ მუშაობა ამ მიმართულებით, მეტი პასუხისმგებლობით მოჰკიდონ ხელი მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების სრულყოფას.

საბჭოთა ადამიანების თავისუფალი დროის ორგანიზაციის გაუმჯობესება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კანონზომიერებაა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანამიმდევრულად ახორციელებენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამუშაო დღის შემცირება და თავისუფალი დროის გადიდება.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით იზრდება იმ სამუშაოთა მნიშვნელობა, რომელთაც ასრულებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები საოჯახო საყოფაცხოვრებო მანქანა-ხელსაწყოების რემონტისა და მუშაობისუნარიანი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის. საქართველოში განუწყვეტლივ მატულობს მშრომელთა კუთვნილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის რაოდენობა. 1980 წელს 100 ოჯახზე მოდიოდა 88 რადიომიმღები და რადიოლა, 79 ტელევიზორი, 90 მაცივარი, 58 სარეცხი მანქანა, 62 საკერავი მანქანა, 21 ელექტრომტვერსასრუტი. საყოფაცხოვრებო მომსახურების მატად მნიშვნელოვანი ამოცანაა ხელი შეუწყოს ყველა ამ მანქანა-ხელსაწყოს ნორმალურ ექსპლოატაციასა და გამართულობას.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო სახალხო მეურნეობის ყველაზე ახალგაზრდა დარგია; მიუხედავად ამისა მისი წარმატებანი შთამბეჭდავია. საქართველოში 1982 წელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციამ 181,8 მილიონი მანეთი შეადგინა ნაცვლად 1960 წლის 18,5 მილიონი მანეთისა.

განსაკუთრებით შესამჩნევი ცვლილებები მოხდა სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. აქ საყოფაცხოვრებო მომსახურების ზრდის საშუალო წლიური ტემპი ყველაზე მაღალია ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებიც. ჯერ კიდევ დაბალია მომსახურების სარემონტო სახეობათა ხვედრითი წილი, რომლებიც მოსახლეობას განსაკუთრებით სჭირდება. 1982 წელს იგი საერთო მოცულობის მხოლოდ 32,5 პროცენტს შეადგენდა. ბევრი სახეობის სარემონტო სამუშაოთა მიხედვით საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია საშუალო საკავშირო დონისათვის. ეს ეხება ტანსაცმლის, ტრიკოტაჟის, ავტომანქანების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთებას.

შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენში შედარებით ნელი ტემპით ფართოვდება სპორტული საბერავების, ფოტოატელიეების, აბანოებისა და საშხაპეების ქსელი. რესპუბლიკაში დაჩქარებით ვითარდება საყოფაცხოვრებო მომსახურების ის ქვედარგები, რომლებიც დეფიციტურ ნედლეულსა და მასალებს მოითხოვენ, მოსახლეობას კი, უწინარეს ყოვლისა, ესაჭიროება ისეთი სახეობის მომსახურებანი, რომლებიც არ არის დაკავშირებული დიდძალი მატერიალური რესურსების დანახარჯებთან, მაგრამ ამავე დროს უაღრესად საჭიროა.

ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დაწესონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის მოსახლეობისათვის მოსახერხებელი საათები და კონტროლი გაუწიონ ამ გრაფიკის დაცვას. საბოლოო ანგარიშით უნდა გაეზარდოთ მოსახლეობის ინტერესი საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი, გავუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი და ხელი შეეუწყოთ მისი მოცულობის ზრდას.

ჯერჯერობით ეს მაჩვენებლები მაღალი როდია. მოსახლეობის გამოკითხვის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქუთაისში 485-დან 302 მოქალაქე (62,2 პროცენტი) წელიწადში 1-2-ჯერ სარგებლობს საყოფაცხოვრებო მომსახურებით, წყალტუბოში — 139-დან 63 (45,3 პროცენტი). შეკეთების გაფორმებისა და მათი მიღებისათვის დროის დანახარჯებთან დაკავშირებულ კითხვებზე მიღებულია შემდეგი პასუხები: ქუთაისში 199 კაცმა (41 პროცენტი) შეკეთის გაფორმებას მოანდომა 15 წუთი, 168 კაცმა (34,6 პროცენტი) — 30 წუთი და 118 კაცმა (24,3 პროცენტი) — 40 წუთამდე.

საინტერესოა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გამოკითხულ მუშაკთა აზრი: „შეკეთების გაფორმებისას მოცდენა გვაიძულებს იშვიათად ვისარგებლოთ საყოფაცხოვრებო მომსახურებით“ „რიგში ვკარგავთ ძვირფას დროს“, „ჩვენმა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ დღემდე ვერ მოიცალა გაეხსნა ქარხნის ტერიტორიაზე თუნდაც ერთი საპარიკმახერო და მიმღები პუნქტი“ და ა. შ.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს. აღნიშნა რა ამ დარგში მოპოვებული წარმატებანი, მან ყურადღება მიაპყრო გადასაწყვეტ საკითხებს. მაგალითად, რესპუბლიკაში შეიქმნა სერიოზული დისპროპორციები ექიმთა კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. საქართველო-პროფილაქტიკური დაწესებულებების უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტება რესპუბლიკური მაჩვენებელი ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

ასეთი მდგომარეობა იმ გარემოებით აიხსნება, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ადგილებზე ექიმთა დამკვიდრების საკითხებს, არ უქმნიან მათ ხელშემწყობ საყოფაცხოვრებო პირობებს, რაც იწვევს კადრების დენადობას.

საშუალო საკავშირო მაჩვენებლებზე დაბალია რესპუბლიკის სტაციონარებში საწოლების დაკავების მაჩვენებელიც. ჩვენს ქალაქებში იგი 214-ს უდრის, საკავშირო მასშტაბით —328-ს, ნორმატივი კი 330-ია. სოფლად ეს მაჩვენებელი უარესია.

ეს მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ რესპუბლიკაში არსებული სტაციონარების გარკვეული ნაწილი მოთავსებულია ძველ, ამორტიზებულ შენობებში, არ მარაგდებ ცხელი და ხშირად ცივი წყლითაც კი, მოკლებული ზამთრის პერიოდში და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების შენობა საჭიროებს კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს, არ ხდება ამ მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრების სრული ათვისება. რესპუბლიკაში არსებული საწოლთა ფონდის და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სიმძლავრეების დეფიციტის ფონზე ყოვლად შეუწყნარებელია სამშენებლო ორგანიზაციების მიერ ჯანმრთელობის დაცვის ქსელის განვითარებისათვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა არადამკმაყოფილებელი ათვისება, რის გამოც იკარგება ისედაც შეზღუდული საშუალებების მშენელოვანი ნაწილი. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის 1982 წლის გეგმა მხოლოდ 76 პროცენტით შეასრულა. დაგეგმილი კაპიტალური დაბანდებების 23,7 მილიონი მანეთიდან ათვისებულ იქნა 21 მილიონი მანეთი.

ძირეულად უნდა შეიცვალოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისადმი ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის დამოკიდებულება. ეს პირველ ყოვლისა ეხება სამრეწველო საწარმოებს, სადაც საწარმოო ტრავმებისა და პროფდაავადებების პროფილაქტიკისათვის, საწარმოო ჰიგიენის ნორმების დაცვისათვის მიღებული ზომები არასაკმარისი და არაეფექტიანია, ხოლო ზოგ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს, რის გამოც აქ ჯერ კიდევ დიდია ზრომის უნარიანობის გამო სამუშაოს გაცდენები.

რესპუბლიკაში სათანადო დონეზე არ დგას საფთიაქო ქსელის მატერიალური ბაზა. აფთიაქების დიდი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს სანიტარიულ ნორმებს. ჯერ კიდევ სრულად არ კმაყოფილდება რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნება მედიკამენტებზე. ამავე დროს რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოს საწყობებში დაგროვებულია წამლების ჭარბი მარაგი.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, სხვა სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთისა და აჭარის მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოები. ისინი პასუხისმგებელი უნდა იყვნენ თავიანთ ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობისა და ორგანიზაციისათვის, უზრუნველყონ ადგილობრივი დაქვემდებარების ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ხელმძღვანელობა, განახორციელონ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებები.

მომხსენებელმა დაწვრილებით გააანალიზა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა მუშაობა. რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 598 საქალაქთაშორისო, 1033 საგარეუბნო და 302 საქალაქო საავტობუსო მარშრუტი, ყოველდღიურად ხაზებზე გადის 3350 ავტობუსი. ამასთან ერთად მოსახლეობას მომსახურებას უწევს 6400-მდე მსუბუქი ტაქსი და მიკროავტობუსი. ხუთწლედის ბოლომდე გათვალისწინებულია გაიხსნას 25-მდე შიდასარაიონო და საქალაქთაშორისო მარშრუტი. გაიხსნება აგრეთვე 8-10 საგარეუბნო (სასოფლო) მარშრუტი, რომლებიც 15-20 მაღალმთიან სოფელს დააკავშირებენ შესაბამის რაიონულ ცენტრებთან.

მაგრამ მოსახლეობის ზმირი გრაფიკების დარღვევისა და რეისების ჩაშლის შემთხვევები, ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს ავტობუსებისა და ვაგონების სანიტარიული მდგომარეობა. მოსახლეობის სამართლიან საყვედურს იწვევს ტაქსის მძღოლების უხეშობა, გამომძალვის მცდელობა, არ აღმოფხვრილა უბილეთო მგზავრთა გადაყვანა და ა. შ. ყოველივე ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობამ და ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა.

გარკვეულ მუშაობას ეწევა მგზავრების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სამოქალაქო ავიაცია. საგრძნობლად გაფართოვდა სამოგეთო ავიასალაროების ქსელი. თბილისში ასეთი სალაროები გაიხსნა ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, მეჰიდროდ დასახლებულ რაიონებში, დიდ საცხოვრებელ მასივებში, მსხვილ სამრეწველო ობიექტებში, მეტროპოლიტენის სადგურებში, კულტურულ ცენტრებში. განახლდა ტელეფონით ბილეთების შეკვეთის მიღება შინ მიტანით.

მიუხედავად ამისა, სამოქალაქო ავიაციის მუშაობა კვლავ იწვევს მოქალაქეთა კანონიერ საჩივრებს. მათი ძირითადი მიზეზებია ბილეთების გაყიდვის წესებისა და რიგის დარღვევები, მოლარეების უხეშობა, საინფორმაციო სამსახურების არაზუსტი მუშაობა, ფრენის განრიგების ხშირი დარღვევები, მგზავრთა მომსახურების ტექნოლოგიის ხარვეზები და მრავალი სხვა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ხელმძღვანელობამ მკვეთრად უნდა აამაღლოს მოსახლეობის მომსახურების დონე — ეს ეხება როგორც საინფორმაციო სამსახურებისა და სალაროების მუშაობის გაუმჯობესებას, ისე, თვითმფრინავების მოძრაობის გრაფიკის დაცვას, მათი ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და საერთოდ ყველა საგგემო და ხარისხობრივი მაჩვენებლის განუხრელ შესრულებას.

მგზავრთა მომსახურების გასაუმჯობესებლად გარკვეული მუშაობაა გაწეული ამეერკავკასიის რკინიგზაზეც. ვაგზლები და სადგურები შეივსო ახალი ტექნიკით, გაიზარდა სამგზავრო ვაგონების პარკი, საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი რკინიგზის ჩასასხდომი ბაქნები.

ამავე დროს მგზავრთა მომსახურების კულტურა ჯერ კიდევ ფაზე ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს. სამგზავრო მატარებლების მომზადება რეისისათვის ხშირად არადამაკმაყოფილებელია. არის უბილეთო მგზავრების გადაყვანის, ერთ ადგილზე ორი ბილეთის გაყიდვის, თავისუფალი ადგილების დამალვის, ლოგინისა და თეთრეულის ანტისანიტარიული მდგომარეობის, მომსახურეპერსონალის უხეშობის და სხვა დარღვევების მრავალი ფაქტი, რაზედაც მიუთითებს მოქალაქეთა საჩივრების მზარდი რაოდენობა.

ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს სავაგონო პარკის ტექნიკური მდგომარეობაც. ზაფხულობით დამატებითი მატარებლებისათვის იყენებენ ტექნიკურად გაუმართავ, მოძველებულ ვაგონებს, რომლებითაც მგზავრთას არაფერი აქვს საერთო ელემენტარული კომფორტის ცნებასთან.

ყოველივე ეს მგზავრთა მომსახურებით დასაქმებული მუშაკების დაბალი დისციპლინის, მათთან აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის შესუსტების შედეგია.

თბილისის მეტროს ახალი სადგურების საექსპლოატაციოდ გადაცემა საგრძნობლად გაზრდის მგზავრთა გადაყვანის მოცულობას და აამაღლებს მომსახურების დონეს, უზრუნველყოფს „ბიბ“ სათვეში მოძრაობის სტაბილურობას.

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს აქვთ საჭირო ინფორმაცია მასობრივი სანინამშენებლობის ადგილებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის, მისი ზრდის პერსპექტივების, ღილისა და საღამოს საათებში მგზავრთა ძირითადი ნაკადების, მსხვილი სამრეწველო საწარმოების მუშაობის დაწესებისა და დამთავრების დროის შესახებ. საჭიროა, რომ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით მათ გააქტიურონ საქმიანობა სამგზავრო ტრანსპორტის რაიონალური მოძრაობის ორგანიზაციის, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიმართულებით.

დიდი ამოცანებია დასახული კავშირგაბმულობის საშუალებებით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სატელეფონო კავშირით გაუმჯობესების საქმეს. მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია თბილისის სატელეფონო ქსელის გაფართოება 100-110 ათასი ნომრით.

გათვალისწინებულია რესპუბლიკის სხვა ქალაქების სატელეფონო ქსელის გაფართოებაც. ახლი სადგურები ამშენდება სამტრედიაში, ქუთაისში, ჭიათურაში, გალში, ონამჩირეში, ქარელში, თერჯოლაში, სოხუმში, დუშეთში, გეგეჭკორში და სხვაგან.

დიდი სამუშაოები წარმოებს სოფლის სატელეფონო ქსელის გაფართოებისა და ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. გასული ორი წლის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 11,5 ათასი ნომერი. ამით 117 სოფელში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოხერხდა მოსახლეობის სატელეფონო კავშირზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება. სოფლის სატელეფონო ქსელში საექსპლოატაციოდ გადაცემული ტევადობიდან 1600 ნომერი გამოყენებული იქნა, ძველი, ხელის კომუტატორების შესაცვლელად, რამაც ბევრად გააუმჯობესა მოსახლეობის სატელეფონო კავშირით მომსახურება 35 სოფელში. მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია ხელის კომუტატორების მთლიანი ლიკვიდაცია.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს: კავშირგაბმულობის საშუალებათა მუშაობაში ჯერ კიდევ საგრძნობნი ნაკლოვანებებია, რაც პირველ რიგში სატელეფონო ქსელის მუშაობას ეხება. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სისტემის ტექნიკური მდგომარეობა (მათ შორის თბილისში) ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თბილისის სატელეფონო სამსახურის ხელმძღვანელობა უკეთესი მომავლის იმედით არაფერს არ აკეთებს არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული ნაკლოვანებები და ყველა ღონე იხმაროს ახლო მომავალში მათ აღმოსაფხვრელად, ხოლო ადგილობრივმა საბჭოებმა, თავის მხრივ, კონტროლი უნდა გაუწიონ კავშირგაბმულობის საწარმოო-ორგანიზაციულ მუშაობას, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კავშირგაბმულობის მუშაკებს.

შეეხო რა მოსახლეობის საბინაო-კომუნალურ მომსახურებას, მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ცხელი წყლით მომარაგებას. აქ საუკეთესო მაჩვენებლებია თბილისში. საქმე უარესად არის სოხუმში, ბათუმში, თელავში, ზუგდიდში, წყალტუბოში. ცენტრალური წყალმომარაგების დარეგვა იძლევა სათბობის მნიშვნელოვან ეკონომიას. კომუნალური მეურნეობის დარგის მესვეურებს საამოო რეზერვები მოეპოვებათ და ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. კაპიტალურ დაბანდებათა სახსრების სრულ ათვისებასთან ერთად რაციონალურად უნდა იქნეს გამოყენებული კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი თანხები.

მოსახლეობას ხშირი კონტაქტები აქვს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურთან. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია ამ სამსახურის მუშაობის რეჟიმი. 1983 წლის 1 მარტიდან თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოები გადავიდნენ მუშაობის ახალ, მოსახლეობისათვის უფრო მოსახერხებელ რეჟიმზე. დაინერგა მომსახურების ისეთი პროგრესული ფორმები, როგორიცაა მოქალაქეთა განაცხადებისა და შეკვეთების მიღება ტელეფონით. ტელეფონის სუბსიდიებით მობინადრეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ცნობების მოშზადება და შემდეგ მოსახერხებელ დროს მივიდნენ მათ მისაღებად. ეს კარგი წამოწყებაა, საჭიროა მხოლოდ, რომ ამ საქმეში არ მოიკოდოს ფეხი ბიუროკრატიზმმა და ფორმალიზმმა.

ჯერჯერობით ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა მომსახურების ისეთმა პროგრესულმა მეთოდმა, როგორიცაა კომუნალური მომსახურების სფასიფრის გადახდის ერთიანი დოკუმენტის შემოღება. ეს მოსახერხებელია როგორც ორგანიზაციებისათვის, ისე მოსახლეობისთვისაც. როგორც სხვა რესპუბლიკების გამოცდილება გვიჩვენებს, ეს 3-ჯერ ამცირებს საჭირო ოპერაციების შესრულების დროს და ერთ ადგილზე ხარჯს, ხოლო დავალიანება 50 პროცენტით მცირდება.

მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთი წინამძღვარია მისი უზრუნველყოფა გაზით. გაზიფიკაციის პროცენტი რესპუბლიკაში ამჟამად 95,2-ს შეადგენს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მაღალმთიან და მთიან რაიონებს, სადაც არ არის ადგილობრივი სათბობის რესურსები, სხვა სახეობის სათბობის ზეგიდან კი გაძნელებულია.

რესპუბლიკაში გაზიფიკაციის დაწყებიდან განვლილ 25 წელიწადში გაზის ქურების ნაწილი ამორტიზებული გახდა და გამოუსადეგარია შემდგომი ექსპლოატაციისათვის. კომუნალურ და საუწყებო სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთათვის გაზის ქურების შესაცვლელად ფონდები ძალზე მცირეა და მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ეს საკითხი მოგვარებას მოითხოვს. არის სხვა ნაკლოვანებებიც. ჯერ კიდევ გვხვდება აბონენტთათვის გაზის მოწოდების გრაფიკების დარღვევა, ფასების დამახინჯება, მომსახურების დაბალი ხარისხი.

სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის მომხსენებელმა გამოყო სკოლამდელი დაწესებულებების განვითარება და მათი ნორმალური ფუნქციონირება. რესპუბლიკაში 2206 მუდმივმოქმედი სკოლამდელი დაწესებულებაა, სადაც მხოლოდ 162.245 ბავშვია. გარდა ამისა, ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით იხსნება 150-მდე სეზონური საბავშვო ბაღი.

სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის ზრდას, მისი მატერიალური ბაზის განმტკიცებას, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი სკოლამდელ დაწესებულებათა დათვალიერებამ, რომელიც მოეწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური გადაწყვეტილებით. ამის შემდეგ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების საქმეში კიდევ უფრო აქტიური პოზიცია დაიკავეს პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა, საშეფო ორგანიზაციებმა.

მიუხედავად ამისა, ბევრი სკოლამდელი დაწესებულების მატერიალური ბაზა ჯერ კიდევ სუსტია, კერძოდ, ისინი არასაკმაოდ მარაგდებიან ავეჯით. გარკვეული ხარვეზები აღინიშნება სკოლამდელ დაწესებულებებში სამედიცინო დახმარების ორგანიზაციაშიც. პოლიკლინიკიდან მიმაგრებული ექიმებისა და ექთნების მუშაობა არ არის ეფექტიანი, რის შედეგად ბავშვთა დაავადების შემთხვევები ჯერ კიდევ საგრძნობია.

მომსახურების სფეროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის ახალ რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები დგება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების წინაშე. მათ თავიანთი მუშაობის რეჟიმი უნდა შეუფარდონ ახალ მოთხოვნებს. რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ ამ მიმართულებით გასწია გარკვეული მუშაობა, რის შედეგადაც რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების რაოდენობა გაიზრდება 165 ერთეულით. რაც შეეხება სკოლამდელ დაწესებულებებში ანაოლგიური ჯგუფების რიცხვის გადიდებას, ეს დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან.

კვლავ შეეხო რა მოსახლეობის მომსახურების სფეროს პრობლემებს, ამხ. ჭითანავამ აღნიშნა, რომ მისი პირველი რიგის ამოცანაა წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის პროცესის დაჩქარება. ამასთან თავიდან უნდა ავიცილოთ საპრიმპირო ხასიათის შეცდომები, არ უნდა გაგვიტაცოს „გიგანტომანიამ“.

წარმოების გამსხვილების ამოცანის გადაწყვეტას აფერხებს ის, რომ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები საამრისი მოცულობით არ გამოყოფენ შენობებს საგაჭრო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებისათვის. იქმნება მდგომარეობა, როცა ობიექტების განლაგება პრაქტიკულად წყდება არა მოსახლეობის მოთხოვნილების - გათვალისწინებით, არამედ შესაბამისი სადგომების არსებობის მიხედვით.

ნორმალურად ვერ მივიჩნევთ იმას, რომ 23 სამრეწველო საწარმოში და მშენებლობაზე, სადაც 500 და მეტი კაცი მუშაობს, არ არის საყოფაცხოვრები დანიშნულების არც ერთი ობიექტი, ხოლო 32-ში საყოფაცხოვრებო მომსახურება წარმოდგენილია 1-2-ადგილიანი ობიექტებით.

რით შეიძლება გავამართლოთ ის მდგომარეობა, რომ რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში არ მოქმედებს საყოფაცხოვრებო დანიშნულების არც ერთი ობიექტი, ხოლო რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში მხოლოდ ერთი ერთადგილიანი ობიექტია — ფიზიკამლის შეკეთებისა? საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები არ გაჩნიათ ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელ ქარხანას, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკას, თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ისანს“ და ა. შ.

1980 წელს მიღებულ იქნა დადგენილება სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების შესახებ, რომელიც შეიცავს სპეციალურ დავალებებს რაიონების მიხედვით. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1982 წელს განიხილა აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და გამოიტანა, რომ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. საჭიროა, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ დადგენილების შესრულებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპლექსურ მიმღებ პუნქტებს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოებში მათი სახსრების ხარჯზე უნდა შეიქმნას ათასი სასოფლო კომპლექსური მიმღები პუნქტი. თითოეულ დასახლებულ პუნქტში შეუძლებელია საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალდარგოვანი ობიექტების ორგანიზება, და ეს არც არის საჭირო. კომპლექსურმა მიმღებმა პუნქტებმა ადგილებზე უნდა გაუწიონ მოსახლეობას რამდენიმე სახეობის მომსახურება და მიიღონ შეკვეთები ყველა დანარჩენ სახეობაზე იმ გარეუდით, რომ შეკვეთები შესრულდეს რაიონულ ცენტრებში განლაგებულ სპეციალურ საწარმოებში. ეს საშუალებას მოგვცემს საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა სახეობით მოვიცვათ რაიონის მთელი მოსახლეობა.

სერიოზული პრობლემაა მომსახურების სფეროს განვითარება რესპუბლიკის საკურორტო ზონებში. ჩვენს ჯანმრთელობის კერებს არ გააჩნიათ ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კავშირგაბმულობის მსხვილი ობიექტები, შემნახველი სალარონი, კერძოდ, თითქმის არც ერთ სანატორიუმში, საკავშირო მნიშვნელობის ისეთ კურორტზეც კი, როგორიც ბორ

საბინაო მეურნეობის განვითარება, საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის გაუმჯობესება და საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის პროექტი

(დასასრული)

ჯარო ორგანიზაციების — უმთავრესად მშენებლობის სამინისტროსა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მთელი რიგი სამშენებლო ტრესტების არადამკმაყოფილებელი მუშაობის, საექსპლუატაციოდ გადაცემის წლისათვის საცხოვრებელი სახლების მარაგნაკეთის არასაკმარისი მომზადების, მშენებლობის არარიტმულობის, კეთილმოწყობისა და გამწვანების, გასასვლელების, ტროტუარების, სათამაშო და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოთა არასრული მოცულობით შესრულების შედეგია.

მარტო კეთილმოწყობის ხაზით შეუსრულებელ სამუშაოთა მოცულობამ მეათე ხუთწლედში დაახლოებით 16 მილიონი მანეთი შეადგინა, ესე იგი საბინაო მშენებლობისათვის აუთვისებელი სახსრების თითქმის 30 პროცენტი.

ასეთი მდგომარეობა მოქმედებს საექსპლოატაციოდ გადაცემული სახლების ხარისხზე. 1981-1982 წლებში „ფრიადი" შეფასებით გადაეცა საერთო საცხოვრებელი ფართობის მხოლოდ ერთი პროცენტი, „კარგი" შეფასებით — 20 პროცენტი და „დამაკმაყოფილებელი" შეფასებით — 79 პროცენტი. საბინაო მშენებლობის დროს დაშვებული და ორწლიანი საგარანტიო ვადის პერიოდში გამოვლენილი ხარვეზებისა და დეფექტების აღმოფხვრისათვის ყოველწლიურად იხარჯება დაახლოებით 2 მილიონი მანეთი, ანუ მთლიანაწყობილი საცხოვრებელი სახლების რემონტისათვის გათვალისწინებ უ ლ ი სახსრების თითქმის 30 პროცენტი. გარდა ამისა, ეს დიდი ხნით აჭიანურებს ბინების შესახლებას.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გაძლიერდეს მიმდებ კომისიათა პასუხისმგებლობა სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემის დროს.

ამჟამად სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქმშენებლობის სამუშაოთა არქიტექტურის ხარისხის : ამაღლებას, საცხოვრებელი სახლების მრავალფეროვნებასა და მხატვრულ გამომსახველობას.

დასახლებული პუნქტების განვითარებისას თანამედროვე არქიტექტურული გადაწყვეტაში უნდა ეხამებოდეს ისტორიულად დამკვიდრებულ განაშენიანებას და ითვალისწინებდეს ისტორიული ღირებულების მქონე შენობანაგებობათა შენარჩუნებას. როგორც ცნობილია, თბილისის ძველ ნაწილში ეს ამოცანა წარმატებით წყდება.

ამავე დროს საცხოვრებელი მიკრორაიონების კომპლექსური განაშენიანებისას პროექტებში საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს საინჟინრო კომუნიკაციებისა და ტრიტორიის კეთილმოწყობის საკითხთა ყოველმხრივი გადაჭრა გამწვანების, ლანდშაფტური არქიტექტურის, საბავშვო სპორტული მოედნების, ინდივიდუალური ავტომანქანების სადგომების მოწყობის, მცირე არქიტექტურული ფორმებისა და კომუნალური სამსახურების განლაგების გათვალისწინებით, რაც ჯერ კიდევ ყოველთვის არ სრულდება.

ჩვენს რესპუბლიკაში არსებული მნიშვნელოვანი საბინაო ფონდი, მისი შემდგომი განვითარება მოითხოვს აღნიშნული ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისა და გამოყენების გაუმჯობესების სერიოზული და რთული ამოცანის გადაწყვეტას.

ამჟამად ამ ამოცანას, შეიძლება ითქვას, არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ახალ საბინაო მშენებლობას.

რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა ხორციელდება საცხოვრებელი სახლების დაცვა-შენახვის უზრუნველსაყოფად, ამ მიზნით მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყოფა, გადაწყდა საბინაო მეურნეობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ამავე დროს ფერხდება ამ საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულება. ნელა სრულდება დავალება თანამედროვე აპარატურითა და გამოთვლითი ტექნიკით აღჭურვილი გაერთიანებული სადისპეტჩერო სამსახურების შექმნის შესახებ.

სამინისტროებმა და უწყებებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის დავალებათა სრულყოფა, ფართოდ დანერგონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მოწინავე გამოცდილება, შენობათა საინჟინრო მოწყობილობის მუშაობის მართვის ავტომატიზაცია და დისპეტჩერიზაცია.

ჩვენი სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. მნიშვნელოვანი დახმარება ეწევათ აგრეთვე ინდივიდუალურ გამშენებლებს შეღავათიანი პირობებით კრედიტის მიცემის გზით.

საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის გაუმჯობესების საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ქალაქებისა და დაბების მოსახლეობისა და საზოგადოებრიობას. ამ ღონისძიებებში მოსახლეობის მონაწილეობის დადებითი გამოცდილება აქვთ ქალაქ თბილისის ორჯონიკიძისა და პირველი მაისის რაიონებს და ქალაქ რუსთავს. აქ მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს სადარბაზოებისა და ეზოების ჯეროვან წესრიგზე მოყვანაში, ეზოების კეთილმოწყობისა და გამწვანებაში, დასასვენებელი კუთხეების შექმნაში. საჭიროა, რომ საზოგადოებრიობის ამ კარგ თაოსნობას მხარი დაუჭირონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა და სხვა სახელმწიფო ორგანოებმა.

საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის საქმეში უნდა გადაწყდეს მთელი რიგი რთული საკითხები, აგრეთვე აღმოიფხვრას წარსული წლებში დაშვებული ხარვეზები და ნაკლოვანებანი, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნა მომხსენებელმა, საჭიროა კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი სახსრების მთლიანად ათვისება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით ამ სამუშაოთა უზრუნველყოფის გაუმჯობესება, ბინების მოვლა-პატრონობისა და რემონტისათვის საჭირო საშენ, სანტექნიკურ და მოსაპირკეთებელ მასალებზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უნდა ეაძლიერონ კონტროლი საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის დავალებათა შესრულებისადმი, საექსპლოატაციო და სარემონტო საჭიროებათა გამოყოფილი მატერიალური საშუალებებისა და ფინანსური სახსრების მიზნობრივი გამოყენებისადმი და მიიღონ ქმედითი ზომები სამანეური. საბინაო ფონდის შესაქმნელად.

საბინაო ფონდის უკეთ დაცვა-შენახვის, მისი უფრო ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფას ხელი უნდა შეუწყოს საუწყებო სახლების გადაცემამ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისათვის. მაგრამ ყველა სამინისტრომ და უწყებამ როდი მიიღო ზომები თავიანთი კუთვნილი საბინაო ფონდის თანდათანობით გადასაცემად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მზადდება მისი პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველად საკითხი სამინისტროთა და უწყებათა ბალანსზე არსებული საბინაო ფონდის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისათვის გადაცემის დაჩქარების შესახებ, იმ წესით და ვადებში, რომლებიც განსაზღვრულია მთავრობის დადგენილებით.

მოქალაქეთა ბინის კონსტიტუციური უფლების განსახორციელებლად, საბინაო მშენებლობის მასშტაბის გაფართოებასთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საბინაო ურთიერთობის ჯეროვან სამართლებრივ რეგლამენტაციას. მოქალაქეთა ბინის უფლების კონსტიტუციურმა დამკვიდრებამ ახალი იმპულსი მისცა საბინაო კანონმდებლობის სრულყოფას. მისი განახლების აუცილებლობა იმით არის გამოწვეული, რომ მოქმედი საბინაო კანონმდებლობა ბევრად მოძველდა, ვერ ასახავს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს. საკმაოდ ზუსტად არ არის მოწესრიგებული ბინის მიცემასთან და სარგებლობასთან, საბინაო სამართალურთიერთობაში უფლების განხორციელებასთან და მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი.

ყოველივე ამან განაპირობა იმის აუცილებლობა, რომ შემუშავდეს და მიღებულ იქნეს საბინაო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ახალი საკანონმდებლო აქტი, ესე იგი დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკის თითოეული მოქალაქის ინტერესებთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიერ თქვენს განსახილველად შემოტანილი საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის პროექტი შემუშავებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის დებულებათა, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. იგი მთლიანად შეესაბამება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებს.

განსახილველ პროექტში პირველად კოდექსის დონეზე ყოველისმომცველად წესრიგდება ურთიერთობა საბინაო ფონდის მართვასთან და ექსპლუატაციასთან, მისი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფასთან, იმ მოქალაქეთა აღრიცხვასთან, რომელთაც ბინა ესაჭიროებათ, და საცხოვრებელი ფართობის განაწილებასთან დაკავშირებით.

კოდექსის პროექტში წარმოდგენილია, დაკონკრეტებულია და განვითარებულია ჩვენი რესპუბლიკის თავისებურებებისა და პირობების გათვალისწინებით საკავშირო კანონმდებლობის დებულებანი, აგრეთვე მოწესრიგებულია ის საკითხები, რომელთა რეგლამენტირება მოკავშირე რესპუბლიკის კომპეტენციას განეკუთვნება. საბინაო კოდექსის პროექტი, რომლის შემუშავება პირველად განხორციელდა, შეიცავს მრავალი წლის სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე გამომუშავებულ და საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში დასაბუთებულ მთელ რიგ ახალ დებულებებს. ამასთანავე, კოდექსში შენარჩუნებულია ყოველივე ის, რამაც გაუძლო დროის შემოწმებას, გაამართლა დანიშნულება საბინაო ურთიერთობის ნორმატიული რეგულირების დროს.

ამკვიდრებს რა მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ანდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში საცხოვრებელი სადგომის მიღების უფლებას, პროექტის მე-12 პუნქტი აწესებს, რომ აღნიშნულ სახლებში საცხოვრებელი სადგომები მოქალაქეებს ეძლევათ უვადო სარგებლობისათვის.

ამასთანავე უფლება-მოვალეობათა განუყოფლობის პრინციპის შესაბამისად პროექტი ითვალისწინებს მოქალაქეთა მთელ რიგ მოვალეობებს. მოქალაქენი, კერძოდ, ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ სახლს, სადაც ისინი ცხოვრობენ, გამოიყენონ საცხოვრებელი სადგომი მისი დანიშნულების შესაბამისად, დაიცვან საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის წესები და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები. ეკონომიურად ხარჯონ წყალი, გაზი, ენერგია და სათბობი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მართვასა და მისი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ პროფესიულმა კავშირებმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, განსახილველი პროექტის 26-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ იმ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომელთაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, საცხოვრებელი ფართობის მიღებაზე რიგითობის დადგენა, აგრეთვე მისი განაწილება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ხორციელდება საზოგადოებრივი კონტროლით და საჯაროობის დაცვით. პროექტში განსაზღვრულია, იმ პირთა წრე, რომელთაც აქვთ საცხოვრებელი ფართობის პირველ რიგში და რიგგარეშე მიღების უფლება.

კოდექსის პროექტი ზუსტად აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლისა და მოშლის, აგრეთვე საცხოვრებელი სადგომებიდან მოქალაქეთა გამოსახლების საკითხებს. პროექტი, ისევე როგორც საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები, აწესებს მტკიცე სამართლებრივ გარანტიებს მოქალაქეთათვის, რომელთაც უკავიათ საცხოვრებელი სადგომი კანონიერ საფუძველზე და კეთილსინდისიერად იყენებენ მას.

მოქალაქეთა გამოსახლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში დაკავებული საცხოვრებელი სადგომიდან დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი წესის საფუძველზე.

გამოსახლება ხდება სასამართლო წესით. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის პროექტის 101-ე მუხლის თანახმად, დაიშვება გამოსახლება ადმინისტრაციული წესით მხოლოდ იმ პირებისა, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი სადგომი ან ცხოვრობენ ისეთ სახლებში, რომელთა ჩამოქცევა მოსალოდნელია. ადმინისტრაციული წესით გამოსახლება სამსახურებრივი სადგომებიდან და საერთო საცხოვრებლიდან აკრძალულია. საცხოვრებელი სადგომებიდან გამოსახლებულ მოქალაქეებს იმავე დროს ეძლევათ სხვა საცხოვრებელი სადგომი, განსახილველ პროექტში აღნიშნული შემთხვევების გარდა.

პროექტის 109-ე მუხლში გათვალისწინებულია შემთხვევები, როცა შეიძლება მოქალაქეთა გამოსახლება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად. თუ დაშქირავებელი, მისი ოჯახის წევრები ან მასთან ერთად მცხოვრები სხვა პირები სისტემატურად აწარეკვენ ან აფუჭებენ საცხოვრებელ სადგომს ანდა იყენებენ მას არადანიშნულებისამებრ, ან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს სისტემატური დარღვევით სხვებისათვის შეუძლებელს ხდიან მათთან ერთ ბინაში ან ერთ სახლში ცხოვრებას, ხოლო გაფრთხილებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები უშედეგო გამოდგა, ბრალეულთა გამოსახლება გამქირავებლის ან სხვა დაინტერესებული პირების მოთხოვნით ხდება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

კოდექსის პროექტის სპეციალური თავი ეძღვნება მოქალაქეთა უზრუნველყოფას საცხოვრებელი სადგომებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში და ამ სადგომებით სარგებლობას. ამკვიდრებს რა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით კოოპერატივის წევრისათვის ერთი ან რამდენიმე ოთახიანი ცალკე ბინის მიცემის მოქმედ წესს, პროექტის 130-ე მუხლი ამავე დროს განსაზღვრავს, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლის ბინებში ჩასახლება ხდება აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული ორდერების საფუძველზე, ამასთან ორდერის მიცემაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

დიდმნიშვნელოვან დებულებას შეიცავს პროექტის 129-ე მუხლი, რომლის თანახმად იმ შემთხვევაში, როცა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის კუთვნილი სახლი უნდა დაინგრეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით, კოოპერატივს დასანგრევი სახლის ნაცვლად საკუთრებაში ეძლევა ტოლფასი საცხოვრებელი სახლი.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის მიღება მყარ სამართლებრივ საფუძველს შეუქმნის საბინაო მეურნეობის შემდგომ განვითარებას და საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფას, საცხოვრებელი ფართობის სამართლიან განაწილებას, საბინაო საკითხების გადაჭრისათვის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერებას, აგრეთვე შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრიობის უფრო ფართო მონაწილეობას საბინაო მეურნეობის მართვაში.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეების მიერ ახალი საკანონმდებლო აქტის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანი წვლილი იქნება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების პროგრამის რეალიზაციაში, რომელიც პარტიის XXVI ყრილობამ დასახა. (ტაში).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხთა კომისიის და საქოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თანამოხსენებება

(დეპუტატი ა. ი. აზიროვი)

ამხანაგო დეპუტატებო! საცხოვრებელი ბინა ადამიანის კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა და მისი უფლება ჩვენში გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით. საბინაო საკითხის სამოლოო გადაწყვეტა სკკპ პროგრამის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ქვეყნის ყველა რეგიონში პრაქტიკულად ხორციელდება დაჩქარებული საბინაო მშენებლობის გზით, ბინის მცირე ქირის პირობებში.

ამ მიმართულებით დიდ ამოცანებს წყვეტენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები. უკანასკნელ პერიოდში უკეთ ითვისებენ საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის გამოყოფილ სახსრებს, ბევრი რამ კეთდება მათი დაცვა-შენახვისათვის, საყოველთაო მოწონებას იწვევს იმ სახლების რეკონსტრუქცია, რომელშიც წარმოადგენს ეროვნული არქიტექტურის უნიკალურ ნიმუშებს, ძირეული ძვრა მოხდა საცხოვრებელი ბინების სწორ განაწილებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხთა კომისიამ და საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის კომისიამ დამავალეს მოგახსენოთ, რომ ეთანხმებიან მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს.

ამასთან ერთად კომისიების სახელით დეპუტატმა გამოთქვა ზოგიერთი მოსაზრება განსახილველ საკითხზე.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საბინაო მშენებლობისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებებს ყველგან სრულად როდი ითვისებენ.

საბინაო მშენებლობა ყოველთვის საკმაოდ როდი შეესაბამება საწარმოო ძალთა განვითარებას, იმის საჭიროებას, რომ საცხოვრებელი სახლები პირველ რიგში შენდებოდეს იქ, სადაც ყველაზე მწვავედ იგრძნობა მათი ნაკლებობა.

არ შეიძლება მთლად გამართლებულად ჩაითვალოს ის პრაქტიკა, როდესაც დიდი ქალაქის ერთ ნაწილში უპირატესად შენდება საცხოვრებელი სახლები, ხოლო სხვა ნაწილში — საწარმოთა და დაწესებულებათა შენობები, რაც დიდად ართულებს ადამიანთა სამუშაო ადგილზე მისვლას და უკან დაბრუნებას. ამგვარი მდგომარეობა, როგორც ჩანს, უფრო გაბედულად უნდა გამოსწორდეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ვადები დარღვევის შედეგად მათი მეტი წილი საექსპლოატაციოდ გადაეცემა წლის ბოლოს. ამასთან ჩასაბარებელი სახლები დაუმთავრებელი და დეფექტების მქონეა, ბევრი სამუშაო უხარისხოდაა შესრულებული და მათში შესახლება დიდი ხნით ყოვნდება.

ამგვარი მდგომარეობა მოითხოვს დამპროექტებელთა, მშენებელთა, დამკვეთთა, აგრეთვე ყველა იმ მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, ვისაც სახლის საექსპლოატაციოდ მიღება ევალება.

რესპუბლიკაში შექმნილი უდიდესი საბინაო ფონდი ფასდაშესრულებისადმი, საექსპლოატაციო და სარემონტო საჭიროებათა გამოყოფილი მატერიალური საშუალებებისა და ფინანსური სახსრების მიზნობრივი გამოყენებისადმი და მიიღონ ქმედითი ზომები სამანეურო. საბინაო ფონდის შესაქმნელად.

საბინაო ფონდის უკეთ დაცვა-შენახვის, მისი უფრო ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფას ხელი უნდა შეუწყოს საუწყებო სახლების გადაცემამ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისათვის. მაგრამ ყველა სამინისტრომ და უწყებამ როდი მიიღო ზომები თავიანთი კუთვნილი საბინაო ფონდის თანდათანობით გადასაცემად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მზადდება მისი პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველად საკითხი სამინისტროთა და უწყებათა ბალანსზე არსებული საბინაო ფონდის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისათვის გადაცემის დაჩქარების შესახებ, იმ წესით და ვადებში, რომლებიც განსაზღვრულია მთავრობის დადგენილებით.

მოქალაქეთა ბინის კონსტიტუციური უფლების განსახორციელებლად, საბინაო მშენებლობის მასშტაბის გაფართოებასთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საბინაო ურთიერთობის ჯეროვან სამართლებრივ რეგლამენტაციას. მოქალაქეთა ბინის უფლების კონსტიტუციურმა დამკვიდრებამ ახალი იმპულსი მისცა საბინაო კანონმდებლობის სრულყოფას. მისი განახლების აუცილებლობა იმით არის გამოწვეული, რომ მოქმედი საბინაო კანონმდებლობა ბევრად მოძველდა, ვერ ასახავს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს. საკმაოდ ზუსტად არ არის მოწესრიგებული ბინის მიცემასთან და სარგებლობასთან, საბინაო სამართალურთიერთობაში უფლების განხორციელებასთან და მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი.

ყოველივე ამან განაპირობა იმის აუცილებლობა, რომ შემუშავდეს და მიღებულ იქნეს საბინაო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ახალი საკანონმდებლო აქტი, ესე იგი დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკის თითოეული მოქალაქის ინტერესებთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ თქვენს განსახილველად შემოტანილი საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის პროექტი შემუშავებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის დებულებათა, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. იგი მთლიანად შეესაბამება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებს.

განსახილველ პროექტში პირველად კოდექსის დონეზე ყოველისმომცველად წესრიგდება ურთიერთობა საბინაო ფონდის მართვასთან და ექსპლუატაციასთან, მისი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფასთან, იმ მოქალაქეთა აღრიცხვასთან, რომელთაც ბინა ესაჭიროებათ, და საცხოვრებელი ფართობის განაწილებასთან დაკავშირებით.

კოდექსის პროექტში წარმოდგენილია, დაკონკრეტებულია და განვითარებულია ჩვენი რესპუბლიკის თავისებურებებისა და პირობების გათვალისწინებით საკავშირო კანონმდებლობის დებულებანი, აგრეთვე მოწესრიგებულია ის საკითხები, რომელთა რეგლამენტირება მოკავშირე რესპუბლიკის კომპეტენციას განეკუთვნება. საბინაო კოდექსის პროექტი, რომლის შემუშავება პირველად განხორციელდა, შეიცავს მრავალი წლის სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე გამომუშავებულ და საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში დასაბუთებულ მთელ რიგ ახალ დებულებებს. ამასთანავე, კოდექსში შენარჩუნებულია ყოველივე ის, რამაც გაუძლო დროის შემოწმებას, გაამართლა დანიშნულება საბინაო ურთიერთობის ნორმატიული რეგულირების დროს.

ამკვიდრებს რა მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ანდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში საცხოვრებელი სადგომის მიღების უფლებას, პროექტის მე-12 პუნქტი აწესებს, რომ აღნიშნულ სახლებში საცხოვრებელი სადგომები მოქალაქეებს ეძლევათ უვადო სარგებლობისათვის.

ამასთანავე უფლება-მოვალეობათა განუყოფლობის პრინციპის შესაბამისად პროექტი ითვალისწინებს მოქალაქეთა მთელ რიგ მოვალეობებს. მოქალაქენი, კერძოდ, ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ სახლს, სადაც ისინი ცხოვრობენ, გამოიყენონ საცხოვრებელი სადგომი მისი დანიშნულების შესაბამისად, დაიცვან საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის წესები და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები. ეკონომიურად ხარჯონ წყალი, გაზი, ენერგია და სათბობი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მართვასა და მისი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ პროფესიულმა კავშირებმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, განსახილველი პროექტის 26-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ იმ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომელთაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, საცხოვრებელი ფართობის დადგენა, აგრეთვე მისი განაწილება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ხორციელდება საზოგადოებრივი კონტროლით და საჯაროობის დაცვით. პროექტში განსაზღვრულია, იმ პირთა წრე, რომელთაც აქვთ საცხოვრებელი ფართობის პირველ რიგში და რიგგარეშე მიღების უფლება.

კოდექსის პროექტი ზუსტად აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლისა და მოშლის, აგრეთვე საცხოვრებელი სადგომებიდან მოქალაქეთა გამოსახლების საკითხებს. პროექტი, ისევე როგორც საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები, აწესებს მტკიცე სამართლებრივ გარანტიებს მოქალაქეთათვის, რომელთაც უკავიათ საცხოვრებელი სადგომი კანონიერ საფუძველზე და კეთილსინდისიერად იყენებენ მას.

მოქალაქეთა გამოსახლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში დაკავებული საცხოვრებელი სადგომიდან დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი წესის საფუძველზე.

გამოსახლება ხდება სასამართლო წესით. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის პროექტის 101-ე მუხლის თანახმად, დაიშვება გამოსახლება ადმინისტრაციული წესით მხოლოდ იმ პირებისა, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი სადგომი ან ცხოვრობენ ისეთ სახლებში, რომელთა ჩამოქცევა მოსალოდნელია. ადმინისტრაციული წესით გამოსახლება სამსახურებრივი სადგომებიდან და საერთო საცხოვრებლიდან აკრძალულია. საცხოვრებელი სადგომებიდან გამოსახლებულ მოქალაქეებს იმავე დროს ეძლევათ სხვა საცხოვრებელი სადგომი, განსახილველ პროექტში აღნიშნული შემთხვევების გარდა.

პროექტის 109-ე მუხლში გათვალისწინებულია შემთხვევები, როცა შეიძლება მოქალაქეთა გამოსახლება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად. თუ დაშქირავებელი, მისი ოჯახის წევრები ან მასთან ერთად მცხოვრები სხვა პირები სისტემატურად აწარეკვენ ან აფუჭებენ საცხოვრებელ სადგომს ანდა იყენებენ მას არადანიშნულებისამებრ, ან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს სისტემატური დარღვევით სხვებისათვის შეუძლებელს ხდიან მათთან ერთ ბინაში ან ერთ სახლში ცხოვრებას, ხოლო გაფრთხილებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები უშედეგო გამოდგა, ბრალეულთა გამოსახლება გამქირავებლის ან სხვა დაინტერესებული პირების მოთხოვნით ხდება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

კოდექსის პროექტის სპეციალური თავი ეძღვნება მოქალაქეთა უზრუნველყოფას საცხოვრებელი სადგომებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში და ამ სადგომებით სარგებლობას. ამკვიდრებს რა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით კოოპერატივის წევრისათვის ერთი ან რამდენიმე ოთახიანი ცალკე ბინის მიცემის მოქმედ წესს, პროექტის 130-ე მუხლი ამავე დროს განსაზღვრავს, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლის ბინებში ჩასახლება ხდება აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული ორდერების საფუძველზე, ამასთან ორდერის მიცემაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

დიდმნიშვნელოვან დებულებას შეიცავს პროექტის 129-ე მუხლი, რომლის თანახმად იმ შემთხვევაში, როცა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის კუთვნილი სახლი უნდა დაინგრეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით, კოოპერატივს დასანგრევი სახლის ნაცვლად საკუთრებაში ეძლევა ტოლფასი საცხოვრებელი სახლი.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის მიღება მყარ სამართლებრივ საფუძველს შეუქმნის საბინაო მეურნეობის შემდგომ განვითარებას და საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფას, საცხოვრებელი ფართობის სამართლიან განაწილებას, საბინაო საკითხების გადაჭრისათვის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერებას, აგრეთვე შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრიობის უფრო ფართო მონაწილეობას საბინაო მეურნეობის მართვაში.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეების მიერ ახალი საკანონმდებლო აქტის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანი წვლილი იქნება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების პროგრამის რეალიზაციაში, რომელიც პარტიის XXVI ყრილობამ დასახა. (ტაში).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის საგეგმო დავალებათა შესრულება, შრომის დისციპლინის განმტკიცება და სოციალისტური კანონიერების დაცვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიების მოხსენება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისია და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისია სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის საგეგმო დავალებათა შესრულებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხებს.

ახალი ხუთწლედი სერიოზული გამოცდა იქნება მშენებლობისათვის, აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე. მისი დამახასიათებელი ნიშანია ძალების ყოველნაირი თავმოყრა იმ საწარმოების რაც შეიძლება მალე დამთავრებისა და ამოქმედებისათვის, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ პროდუქციის მკვეთრი მატება, ვიწრო ადგილების აღმოფხვრა.

დიდოსტატი კონსტანტინე

(დასასრული)

ქუთრებული ადგილი უკავია XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მწერლობის ოქროვანი ნიჭი, აღმის სიღრმე, ჭეშმარიტად ეროვნული სულისკვეთება — აი ის თვისებები, რომლებიც საფუძვლად უდევს მოქალაქის მაღალ სახელს, ავტორიტეტს, რომელიც კარგა ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს.

აღტაცებას იწვევს მისი პალიტრის მრავალფეროვნება, მხატვრული აზროვნების თავისთავადობა. პირველივე ფრაზიდან ცნობდა მას მკითხველი, უყვარდა იგი და ბოლომდე ეხდობოდა, მასთან ერთად ავლებდა გონების თვალს წარსულსა და აწმყოს, ცხოვრობდა მისი გმირების ცხოვრებით. ხალხის ასეთი სიყვარული დიდოსტატთა ხვედრია.

კონსტანტინე გამსახურდია იყო და არის ქართული მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი. მან დიდი ცხოვრების გზა განვლო. წილად ერგო ბედნიერება ყოფილიყო თავისი ხალხის ცხოვრების ყველაზე დაძაბული ეპოქის შვილი. იგი მოწმე იყო რამდენიმე რევოლუციისა, თვალნათლივ ნახა და აღწერა მასშტაბითა და შედეგებით კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ორი ომი. რა გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა მის სამშობლოზე ისტორიულ ძარღვს, რა გზას უნდა დასდგომოდა მისი ხალხი ამ რთულ ისტორიულ გზაჯვარედინზე — აი საკითხები, რომლებიც აღელვებდა ყველა მოაზროვნე ადამიანს დიდი ოქტომბრის მოახლოებული გამწმენდი ქარიშხლის წინ. მწერალს, ისევე როგორც ბევრ მის თანამოკალმესა და კულტურის მოღვაწეს, აღმოაჩნდა ისტორიული პერსპექტივების განჭვრეტის უტყუარი ალღო. ცხადია, გულუბრყვილობა იქნებოდა ძიების ეს პროცესი გაუბრალოებულად წარმოგვედგინა.

კონსტანტინე გამსახურდია ახალი ტიპის ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. იგი ეკუთვნის ქართველ მოღვაწეთა იმ თაობას, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და რუსი რევოლუციონერი დემოკრატების იდეებზე აღიზარდა.

მშობლიური ხალხის წინაშე კონსტანტინე გამსახურდიას დამსახურებას რომ ვაფასებთ, უწინარეს ყოვლისა სწორედ ამ კრიტერიუმებს უნდა დავეყრდნოთ. შემოქმედებითი ძიების გზამ მწერალი მიიყვანა მაღალი იდეალების სამყაროში, სადაც სრულიად ახალი ჰარმონიით ბატონობს ეროვნული და ინტერნაციონალური სულისკვეთება.

კონსტანტინე გამსახურდია აღიზარდა მშობლიურ, ეროვნულ ნიადაგზე. მართალია, მწერლის ადრეულ ნაწარმოებებში შეინიშნება იმ პერიოდის ევროპის ლიტერატურული სკოლებისა და ტენდენციების გარკვეული გავლენა, მაგრამ გადამწყვეტი მაინც ამ გავლენის დაძლევა და ლიტერატურაში საკუთარი გზების ძიება აღმოჩნდა. სწორედ ასეთ ჭეშმარიტად ეროვნულ ლიტერატურას მოაბმარა მწერალმა მთელი თავისი დიდი ნიჭი. იგი გახდა ყოველივე იმის მემკვიდრე, რაც საუკუნეთა მანძილზე შექმნა ქართველი ხალხის შემოქმედებითმა გენიამ: თავისი დიდი წინამორბედების, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსების კვალად, კონსტანტინე გამსახურდიამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის აღორძინებაში, მის მიერ ახალი შემოქმედებითი მწვერვალების მიღწევაში.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების დახასიათები ს ას გ. ენუქიძემ კერძოდ თქვა:

— მწერალმა შექმნა ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერისი მხატვრული ნაწარმოებები. მნი შესანიშნავი ნოველები, საუცხოო რომანები „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“, „ვაზის ყვავილობა“ საბჭოთა ლიტერატურის კლასიკის საგანძურს განეკუთვნება და მკაფიოდ მოწმობს, თუ რა მწვერვალებს მიაღწია ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ. მის ქმნილებებზე აღიზარდა ადამიანთა მთელი თაობები.

კონსტანტინე გამსახურდია ერთი იმათგანია, ვინც ევლებოდა მშობლიურ ენას და ჩვენც გვასწავლიდა, როგორ უნდა ვუფრთხილდებოდეთ ასეთ ფასდაუდებელ განძს. და ამ საქმეში მწერალი ჩვენი მოკავშირეა. რადგან ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით კეთდება ყოველივე ქართული ენის, ჩვენი რესპუბლიკის მოსახლე სხვა ხალხების ენების განვითარებისა და გამდიდრებისათვის.

კონსტანტინე გამსახურდიას იუბილე აღინიშნება რუსი და ქართველი ხალხების დამოყვრების ორასი წლისთავის წინ. და რა შთაგონებით ეღერს დღეს მწერლის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ კრებაზე. ნურვის ჰგონია, — ბრძანებდა კონსტანტინე გამსახურდია, რომ ვისმეს დავუთმობ პირველობას ჩვენი მეზობელი ერების მეგობრობასა და სიყვარულში. განსაკუთრებით პატივს ვცემ ჩვენს მოძმე რუს ხალხს, მის მშობლიურ ენას.

გული გვევსება სიამაყით იმის გამო, რომ გვყავდა კონსტანტინე გამსახურდია, რომ გვყავს იგი დღეს, რომ მუდამ ჩვენთან ერთად იქნება.

კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ცაიშვილმა.

საზეიმო საღამოზე გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ლენინური პრემიის ლაურეატი ნ. დუმბაძე, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ი. შიხლი, ცნობილი სომეხი მწერალი სარო ხანზადიანი, აფხაზეთის სახალხო პოეტი ბ. შინკუბა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, კ. გამსახურდიას სახელობის სტიპენდიანტი ლ. ნადარეიშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგი, მწერლის მშობლიური აბაშის რაიონის მშრომელთა წარმომადგენელი ვ. გაბელაია, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტი შ. ნიშნიანიძე. მათ ილაპარაკეს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების მნიშვნელობაზე, რომელშიც საოცრად სრულად გამთვლიდა ეროვნული ხასიათი, ენციკლოპედიური სისრულით არის აღბეჭდილი ახალი საზოგადოების მშენებელი მისი მშობელი ხალხის ისტორიული წარსული და მრავალფეროვანი დღევანდელი ცხოვრება. კონსტანტინე გამსახურდია მკაფიო მაგალითია ხელოვნისა, რომელიც თავის შემოქმედებას ეკიდება როგორც ჰუმანისტის საბრძოლო იარაღს.

დიდ საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატები.

(საქინფორმი).

ყვავილები მწერლის საფლავზე.
ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შთამომავლობის მადლიერი ხსოვნა

ქალაქის ერთ-ერთ ლამაზ სკვერში — ფალიაშვილის ქუჩაზე გაიხსნა მხატვრული სიტყვის გამოჩენილი დიდოსტატის, მწერალი აკადემიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი, რომლის დაბადების 90 წლისთავს ფართოდ აღნიშნავენ მადლიერი შთამომავალნი.

ბრინჯაოში გაცოცხლებული მწერალი მოქალაქე სამუდამოდ დამკვიდრდა მშობლიურ ქალაქში. და არაფერი არ დაფარავს ხალხის გზას მისკენ. აქ მოვა ხოლმე მისი უკვდავი ქმნილებების მრავალი მკითხველი, რათა ქედი მოიხარონ მისი უშკნობი ნიჭის წინაშე.

კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის გახსნას მიეძღვნა მიტინგი, რომელიც გაიმართა 6 ივნისს. ტრიბუნაზე იყვნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, გ. გაბუნია, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, ა. ინაური, გ. კოლბინი, ვ. პატიაშვილი, დ. ქართველიშვილი, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი, ჟ. შარტავა, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გაბუნიამ.

— ცოტანი არიან ლიტერატურის ისეთი გიგანტები, — თქვა მან, — რომელებსაც სიცოცხლეშივე აღიარებს ხალხი კლასიკოსებად. ეს რჩეულთა ხვედრია. ასეთ შემოქმედთა ქართულ თანავარსკვლავედში მუდამ იკიაფებს კონსტანტინე გამსახურდიას სახელი.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა დღეს ძეგლი აუგო კონსტანტინე გამსახურდიას. ამიერიდან საქართველოს დედაქალაქი შეიძენს ქართველი ხალხის ერთ-ერთი დიდებული შვილის თაყვანისცემის კიდევ ერთ წმიდათაწმიდა ადგილს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე შეკრებილთა ტაშის გრიალში პრის ლენინური პრემიის ლაურეატი ნ. დუმბაძე, ავტორი ამხანაგები ე. ბიბილეიშვილი, ბ. ბოლქვაძე, ბ. ბოლქვაძე, ბ. ბოლქვაძე